აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

18 აპრილი, 2013

დადგენილება №91 (12/13)
აწსუ რექტორის №01-04/4 ბრძანებით გამოცხადებული ა(ა)იპ - აწსუ შიგასაუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის შედეგების შესახებ

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ყველა იმ პროექტის დაფინანსება, რომლებმაც გადალახეს 65-ქულიანი ბარიერი, გარე ექსპერტებისა და საუნივერსიტეტო კომისიის მიერ მინიჭებული ქულების შედეგად ფორმირებული რანჟირებული სიის თანმიმდევრობის გათვალისწინებით.

2. რადგან უნივერსიტეტი მოკლებულია შესაძლებლობას ერთდროულად დააფინანსოს ყველა პროექტი, აღნიშნულის მისაღწევად მოხდეს: ა) პროექტების დაწყების ვადების გაწერა და განაწილება დროში (მ.შ. მომავალ წლებშიც), პროექტის შედეგების მიღებისათვის აუცილებელი ვადებისა და ხანგრძლივობის დაცვით; ბ) განხორციელდეს პროექტების ბიუჯეტების ოპტიმიზირება-შემცირება, პროექტის შედეგების მისაღწევად აუცილებელი დაფინანსების მოცულობის უზრუნველყოფის პირობით; გ) დაფინანსების დამატებით წყაროდ გამოყენებულ იქნას ფაკულტეტების ბონუსები და, შესაძლებლობის ფარგლებში, უნივერსიტეტის ბიუჯეტის სხვადასხვა მუხლში აკუმულირებული თანხები, ამ მუხლების მიზნობრიობისა და ზღვრული მოცულობების ფარგლებში.

3. აღნიშნული საკითხების დასარეგულირებლად კონსულტაციების გამართვა დაევალოს საუნივერსიტეტო კომისიას, რისთვისაც განესაზღვროს ვადა ა. წ. 15 მაისამდე.

აკადემიური საბჭოს

თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე